[მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი]

[41-ე სესია, კრაკოვი, 2017]

გადაწყვეტილება: 41 COM 7A.20

გელათის მონასტერი (საქართველო)

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა,

1. განიხილა დოკუმენტი WHC/17/41.COM/7A and WHC/17/41.COM/8B.Add,
2. გაითვალისწინა მე-40 სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებები **40 COM 7 A.28,** {სტამბოლი/UNESCO, 2016),
3. გაითვალისწინა ასევე 41-ე სესიაზე (კრაკოვი, 2017) მიღებული გადაწყვეტილება **41 COM 88.31** ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელათის მონასტრის საზღვრის მნიშვნელოვანი მოდიფიკაციის შესახებ, რომლითაც ბაგრატის საკათედრო ტაძარი ამოღებულ იქნა და მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის სახელწოდებაა **გელათის მონასტერი**.
4. მიესალმება იმ პროგრესს, რომელსაც მხარე სახელმწიფომ მიაღწია გელათის მონასტერთან დაკავშირებული გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებაში,
5. მოუწოდებს მხარე სახელმწიფოს, განახორციელოს შემდეგი რეკომენდაციები:

a) საჭიროა სათანადო რესურსების უზრუნველყოფა მონასტრისა და და მისი ფრესკული ფერწერის რესტავრაციის გრძელვადიანი პროგრამებისთვის,
b) კონსერვაციისა და რესტავრაციის ზუსტი დოკუმენტირების სისტემის შემუშავება,
c) სამგანზომილებიანი გაზომვების და მონიტორინგის დანერგვა მონასტერში სხვადასხვა შენობების საერთო სტაბილურობის უკეთ გაგების მიზნით,
d) ობიექტის მენეჯმენტის სტრუქტურის დამტკიცება და განხორციელება მენეჯმენტში ჩართული სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობებით,
e) ობიექტისთვის საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა ძირითადი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლობით,
f) ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომლის საშუალებითაც მართვის გეგმა ან მისი ნაწილი სტატუსს შეიძენს დაგეგმვის პროცესში,
g) რაც შეიძლება სწრაფად დარეგისტრირდეს მიწის უფლებები, რათა თავიდან იქნას აცილებული მიწასთან დაკავშირებული დავები,
h) მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში წინადადებების სრული დეტალების წარდგენა ICOMOS-ის მიერ განსახილველად, რომელიც მოიცავს გათხრების შედეგად აკადემიის გვერდით აღმოჩენილ მარნების არეალს, ვიზიტორთა წვდომის ახალ მექანიზმებს და ბერების ახალი შიდა სამყოფელის ადგილმდებარეობას, მათ შორის შერჩეული ტერიტორიის არქეოლოგიურ პროფილს, პირველივე შესაძლებლობისთანავე, რაიმე ვალდებულების შესრულებამდე, *სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპების* 172-ე მუხლის შესაბამისად.
i) მონიტორინგის ინდიკატორების გაძლიერება გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების ასახვის მიზნით;

6. **გადაწყვეტა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების საფრთხის ქვეშ სიიდან გელათის მონასტრის ამოღება;**
7. სთხოვს მხარე სახელმწიფოს, 2019 წლის 1 დეკემბრამდე წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განახლებული ანგარიში ობიექტის კონსერვაციის მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების შესახებ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე განსახილველად (2020 წელს).